



ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

ნაჭყებია გ., ზოგიერთი საკანონმდებლო წინადადების მეთოდოლოგიური დასაბუთების
პრობლემები, თბილისი, 2015

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის
ფონდისთვის



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის
სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

გურამ ნაჭყვია

ზოგიერთი საკანონმდებლო წინადადების

მეთოდოლოგიური დასაბუთების პრობლემები

დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი
2015

UDC(უაკ) 343
6-389

ბროშურა ეხება სისხლის სამართლის რამდენიმე მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ პრობლემას. ნაშრომში მოცემულია საკანონმდებლო წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის დახვეწისა და სრულყოფისათვის.

გამოცემა თანაბრად საინტერესო იქნება იურისტების, სოციოლოგების, სისხლის სამართლისა და სამართლის მეცნიერების საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ტექნიკური რედაქტორი: დიმიტრი გეგენავა

ყდის დიზაინი: დიმიტრი გეგენავა

© გურამ ნაჭყებია, 2015

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2015

ISBN 978-9941-0-7382-3

შინაარსი

წინათქმა	4
I იურიდიული აზროვნების წესი და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი	5
II სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა	13
III შეიძლება თუ არა სისხლის სამართალი და სასჯელაღსრულების სამართალი ადამიანის პიროვნებაში პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეის გარეშე?	19

წინათქმა

წინამდებარე ბროშურაში გამოკვეთილია იურიდიული აზროვნების წესი და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები. ისეთი ტრადიციული ტერმინები, როგორცაა – „დამნაშავე“ თუ „უდანაშაულო“, პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს და ამიტომ იურიდიული მნიშვნელობით მათი გამოყენება დაუშვებელია.

იურიდიული აზროვნების წესს არ შეესაბამება, აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი თითქოს არის დანაშაული, მაშინ როდესაც პასუხისმგებლობის საფუძველად სუბიექტის ბრალი უნდა ჩაითვალოს.

ბოლოს, ბროშურაში სპეციალურად არის დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ დანაშაულისა და სასჯელის შინაგანი ერთიანობის დასაბუთებისთვის აუცილებელია ე.წ. პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, რის გამოც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუქმებას ვერ დავეთანხმებით.

იმედია, საქართველოს პარლამენტი ამ საკანონმდებლო წინადადებებს ყურადღებით მოეკიდება და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

გურამ ნაჭყებია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის პროფესორ-ემერიტუსი

2014 წლის დეკემბერი, თბილისი

I

იურიდიული აზროვნების წესი და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია: *„ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“*

ჩვენი სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, არ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ ზემოთმოთხანილი დებულების არსებითი ნაკლის წინაშე.

1. ადამიანი, როგორც ასეთი, არც „დამნაშავეა“ და არც „უდანაშაულო“. ადამიანის პიროვნება შეიძლება იყოს და არის კიდეც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი, რაც, თავის მხრივ, დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსმართლებრივი ურთიერთობის სუბიექტზე მიანიშნებს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სუბიექტად ჩაითვალოს.

2. ხსენებული ტერმინები (ესე იგი „დამნაშავე“ და „უდანაშაულო“) პირის არანაირ სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავენ და ამიტომ იურიდიული მნიშვნელობით მათი გამოყენება დაუმკვებელია. ეს სხვა არაფერია, თუ არა **სოციოლოგიზმი იურისპრუდენციაში!** ამას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტიც ადასტურებს. მართლაც, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე არავინ შეიძლება „**დამნაშავედ**“ ჩაითვალოს, ხოლო პირს, რომელიც სასამართლომ სცნო ბრალეულად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და კანონით დადგენილი წესით მსჯავრი დასდო ამისათვის, იურიდიულად „**მსჯავრდებული**“ ეწოდება. მით უფრო, რომ იურიდიულად მსჯავრდებული ფაქტობრივად უდანაშაულო შეიძლება აღმოჩნდეს, ხოლო ფაქტობრივად „დამნაშავე“ ავტომატურად როდი ხდება „მსჯავრდებული“!

მაშასადამე, აშკარაა, რომ ტერმინი „ღამნაშავე“ პირის არანაირ სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს.

სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში, რომელიც ამ კიდექსში გამოყენებული ტერმინების განმარტებას ეძღვნება, მე-14 პუნქტად „განაჩენი“ განმარტებულია, როგორც **„პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს სცნობს ღამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას“**. ჯერ ერთი, „ღამნაშავე“ იურიულ ტერმინს არ წარმოადგენს. მეორეც, რანაირად შეიძლება პირი ცნობილ იქნეს **„ღამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში“**? მართლაც, თუ პირი ცნობილი უნდა იქნეს „ღამნაშავედ“, მაშინ მას ჩადენილი უნდა ჰქონდეს დანაშაული, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, **„ღამნაშავე დანაშაულის ჩადენაში“ უაზროა**, რადგან აქ ორჯერაა გამოყენებული დანაშაულის ელემენტები. ამ საკითხს უფრო ღრმად დანაშაულის ცნების ელემენტებთან კავშირში განვიხილავთ. აქ კი კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ტერმინი „ღამნაშავე“ პირის არანაირ სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს და ამიტომ მისი იურიდიული მნიშვნელობით გამოყენება დაუშვებელია.

ისიც აშკარაა, რომ პირის რაიმენაირ სამართლებრივ მდგომარეობას არც ტერმინი „უდანაშაულო“ გამოხატავს. აქედან გამომდინარე, ალოგიკურია, ისეთი არაიურიდიული ტერმინი, როგორიცაა „უდანაშაულო“, იურიდიული მნიშვნელობის პრეზუმფციას (ვარაუდს) აფუძნებდეს!

3. დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართალი არ ადგენს და მაშასადამე, სისხლის სამართლის დოგმატიკას თუ მეცნიერებას ამ პირის შესატყვისი სამართლებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინი თუ ცნება არ გააჩნია.

4. დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს არა სისხლის სამართალი, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა („ბრალდებული“ – გამოძიების ეტაპზე, „მსჯავრდებული“ – სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე).

5. ირკვევა, რომ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, „ბრალდებულის“ პროცესუალური ფიგურა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე ყალიბდება. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. მაშასადამე, „ბრალდებული“ არის ტერმინი, რომელიც გამოძიების ეტაპზე პირის პროცესუალურ მდგომარეობას გამოხატავს.

6. „ბრალდებულის“ პროცესუალური მდგომარეობა ამ უკანასკნელის ბრალეულობაზე ჯერ კიდევ არაფერს ამბობს, რაკი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველ ნაწილში ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა სავარაუდოდაა მიჩნეული. მართლაც, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელება. ეს შემადგენლობა, როგორც წესი, აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა. ამიტომ, რომ ქმედების ეს შემადგენლობა პირდაპირი ლოგიკური გზით თავის თავში არ მოიცავს დანაშაულის ცნების ისეთ ორ შეფასებით ელემენტს, როგორიც არის **ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი**. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელება ქმედების მართლწინააღმდეგობასა და სუბიექტის ბრალზე ჯერ კიდევ არაფერს ამბობს და გამოძიების ეტაპზე ისინი მხოლოდ ინდუქციური დასკვნის წესით, ე.ი. ქმედების

უკვე განხორციელებული შემადგენლობის სტრუქტურაში სავარაუდოდ იგულისხმებიან, თუ ამ ვითარებაში არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი. რაკი ამჯერად აქცენტი ბრალის პრობლემაზე გადატანილი, ამ პოზიციიდან ცხადი ხდება, რომ **ბრალდებული ჯერ კიდევ არაბრალეულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ვიდრე სასამართლო ბრალდებულის ამ არაბრალეულობის ვარაუდს (პრეზუმფციას) არ გააბათილებს და კატეგორიული დასკვნის წესით არ დაადგენს, რომ ბრალდებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ბრალეულად უნდა იქნეს ცნობილი.**

7. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ გამოძიების ეტაპზე პირის პროცესუალური მდგომარეობის გამომხატველი ტერმინი „**ბრალდებული**“, რომელიც ინდუქციური დასკვნის წესით, ანუ სავარაუდოდაა მიჩნეული დანაშაულის ჩამდენად, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თამნახმად, ჯერ კიდევ **არაბრალეულია**. მაშასადამე, **წმინდა პროცესუალურად არსებობს ბრალდებულის არაბრალეულობის ვარაუდი, რომელსაც სასამართლო ბრალდებულის ბრალის კატეგორიულად დადგენის გზით გააბათილებს ან ბრალდებულს გაამართლებს.**

სამწუხაროდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და საპროცესო კანონში, ნაცვლად ტერმინ „**არაბრალეულობის პრეზუმფციისა**“, გამოყენებულია „**უდანაშაულობის პრეზუმფცია**“, რომელსაც ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობასთან არანაირი იურიდიული კავშირი არ გააჩნია. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „**პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით**“.

როგორც ჩანს, კონტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის დებულება პირდაპირაა გადატანილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში. ამ

პოზიციიდან კი იქმნება არაერთი წინააღმდეგობა. კერძოდ, „ბრალდებული“ ნიშნავს პირს, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაშია მიცემული. თუ ბრალდებული, თავისი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, სავარაუდო წესით, არაბრალეული კი არაა, არამედ „უდანაშაულოა“, მაშინ გამოდის, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უდანაშაულო პირი მიგვიცია, ხოლო ეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, **დანაშაულია** (ე.ი. „უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში“). გარდა ამისა, თუ ბრალდებული ფაქტობრივად „დამნაშავეა“, ხოლო გამოძიების ეტაპზე ჯერ კიდევ **„უდანაშაულოდ“** უნდა მივიჩნიოთ, მაშინ **„უდანაშაულო დამნაშავეს“ იწილო-ბიწილოც სახეზეა.**

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, სფეროში არსებობს არა „უდანაშაულობის“ პრეზუმფცია (გარაუდი), არამედ **კეთილსინდისიერების ვარაუდი.** საქმე ის გახლავთ, რომ სისხლის სამართლის კანონშემოქმედების ეტაპზე კანონმდებელი ხელმძღვანელობს მთელი რიგი პრინციპებით, მათ შორის იმ ვარაუდით, რომ სისხლის სამართლის ამ კანონის მოთხოვნებს ყველა შერაცხუნარიანი პირი შეასრულებს. მით უფრო, რომ „**სინდისი**“ ეთიკურად ნიშნავს **„პასუხისმგებლობის გრძნობას“.** აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ სისხლის სამართლის ნორმის ყველა ადრესატი, როგორც შერაცხუნარიანი პირი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, როგორც წესი, კეთილსინდისიერად მოეკიდება, ესე იგი, პასუხისმგებლობით, ანუ ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. აქ, როგორც უკვე ითქვა, იკვეთება დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, როცა სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი სახელმწიფოს წინაშე ვალდებული, მოქმედებდეს მართლზომიერად, ხოლო, როგორც პიროვნება, მოწოდებულია, ამ ვალდებულებას ეკიდებოდეს პასუხისმგებლობით. **სწორედ ამაში მდგომარეობს სისხლის სამართლის სუბიექტის მიმართ კანონმდებლის მხრიდან კე-**

თილსინდისიერების ვარაუდი, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად ედება ბრალდებულის არაბრალეულობის პრეზუმფციას. მართლაც, კანონმდებლის მხრიდან იმის ვარაუდი, რომ სისხლის სამართლის ნორმის ყველა ადრესატი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდება კეთილსინდისიერად, ე.ი. პასუხისმგებლურად, მაშასადამე, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით, – ეს საკმაოდ მაღალი ეთიკური პრინციპია. ამ ეთიკური სიმაღლიდან დანაშაულის, როგორც სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლო აქტის, ჩადენამდე სისხლის სამართლის სუბიექტის დაცემა ძნელი დასაჯერებელია, ალოგიკურადაც გამოიყურება. ამიტომაც, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელება, როგორც წესი, შეურაცხად პირს მიეწერება, ხოლო, თუ აღმოჩნდა, რომ ქმედების ეს შემადგენლობა შეურაცხადმა განახორციელა, მაშინ ივარაუდება, რომ ეს პირი მოქმედებდა არა-ბრალეულად.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დანაშაული მისი ჩამდენი პირის უპასუხისმგებლო აქტია სახელმწიფოს წინაშე, ხოლო კანონმდებელი, პირიქით, სისხლის სამართლის სუბიექტის კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან (ვარაუდიდან) რომ არ ამოდიოდეს, მაშინ სისხლის სამართლის კანონის შექმნასა და ამოქმედებას აზრი არ ექნებოდა.

ამრიგად, აშკარაა, რომ სისხლის სამართლის სუბიექტის მიმართ კანონმდებლის მხრიდან ის ვარაუდი, რომ იგი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდება კეთილსინდისიერად, ე.ი. პასუხისმგებლურად, როგორც ლოგიკურად, ისე ეთიკურად, გამორიცხავს შეურაცხადი პირის მხრიდან ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ბრალეულ განხორციელებას, რის გამოც ამ პოზიციიდან აშკარად იკვეთება ამ პირის არაბრალეულობის პრეზუმფცია. გასაგებია, რომ ეს პრეზუმფცია პრაქტიკულად მოქმედებს მას შემდეგ, რაც ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელების კვალობაზე დაიწყება გამოძიება. თუ დადგინდება, რომ

ქმედების ამ შემაღვენლობის განხორციელების დროს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არ არსებობს, მაშინ ივარაუდება, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. შესაბამისად, გამოძიების ეტაპზე დგება ამ შემაღვენლობის განხორციელების სუბიექტური ელემენტების (მოტივისა და მიზნის) დადგენის პრობლემაც, ხოლო „ბრალდებულის“ პროცესუალური ფიგურა უკვე ბრალის ფორმების დადგენას მოითხოვს. იგულისხმება, რომ ქმედების ეს შემაღვენლობა განზრახ ან გაუფრთხილებლობითაა განხორციელებული. ასე რომ არ იყოს, „ბრალდება“ და „ბრალდებული“ უაზრო ტერმინები იქნებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ბრალის ფორმები ჯერ კიდევ „ბრალს“ ისევე არ ქმნიან, როგორც ფილოსოფიურად „ფორმა“ ჯერ კიდევ „შინაარსს“ არ წარმოადგენს. მაშასადამე, ბრალის ფორმიდან ბრალზე დასკვნა სავარაუდოა. გამოძიება ამაზე შორს ვერ წავა, რადგან ბრალეულია თუ არა ბრალდებული ამ ქმედების ჩადენაში, – ეს მხოლოდ სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა დაადგინოს.

ამრიგად, აშკარაა, რომ გამოძიების ეტაპზე ბრალდებული ჯერ კიდევ არაბრალეულია, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ბრალის ფორმებზე დაყრდნობით მის ბრალეულობას ვარაუდობს. მოსამართლეს კი ქმედების მართლწინააღმდეგობასა და ბრალდებულის ბრალზე დასკვნის ვარაუდებზე დამყარება კატეგორულად ეკრძალება. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაელოს ვარაუდი“.

ამ მსჯელობიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ტრადიციული ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმფცია“, იურიდიული აზროვნების წესის მიხედვით, არ არსებობს. იგი სოციოლოგიური ტერმინია, რომელსაც არანაირი პროცესუალური საზრისი არ გააჩნია. მით უმეტეს, „უდანაშაულობის“ შესასტყვის პროცესუალური მდგომარეობა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ბრალდებული, თავისი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ არაბრალეუ-

ლია. გამოძიება კი, პირიქით, ბრალის ფორმებზე დაყრდნობით ბრალდებულის ბრალს ვარაუდობს. მაგრამ, რაკი ბრალის ფორმა ჯერ კიდევ ბრალი ისევე არაა, როგორც ფორმა შინაარსს არ წარმოადგენს, – ბრალდებული მაინც არაბრალეულია, ვიდრე სასამართლო ბრალდებულის ამ არაბრალეულობის ვარაუდს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მისი ბრალის კატეგორიულად დადგენის გზით არ გააბათილებს და მაშასადამე, ბრალდებულს არ სცნობს ბრალეულად ან, პირიქით, – არ გაამართლებს მას.

ვფიქრობთ, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „ბრალდებული, თავისი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ არაბრალეულად იგარაუდება, ვიდრე სასამართლო ამ ვარაუდს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მისივე ბრალის შესახებ კატეგორიული დასკვნით არ გააბათილებს და ბრალდებულის ეს ბრალი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ფორმით არ იქნება დადასტურებული“.

ვფიქრობთ იმასაც, რომ ეს დებულება გადატანილ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილად და ამასთან, შეიცვალოს ამავე მუხლის სახელწოდება. ეს მუხლი დასათაურებულია, როგორც „უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია“. უფრო მართებული იქნება მისი დასათაურება, როგორც „არაბრალეულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია“.

II

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“. ეს დებულება ეხმიანება რუსულ ტრადიციას, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული ან მისი შემადგენლობა. მართლაც, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში ნათქვამია: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ჩადენა იმ ქმედებისა, რომელიც ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს შეიცავს“. სამწუხაროდ, რუსული ტრადიციით, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში იგულისხმება როგორც ქმედების მართლწინააღმდეგობა, ისე სუბიექტის ბრალი, რის გამოც „დანაშაული“ და მისი „შემადგენლობა“ არსებითად ერთი და იგივეა.

დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელში, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილშია გათვალისწინებული, **ჯერ ერთი**, თავიდანაა აცილებული დანაშაულისა და მისი შემადგენლობის აღრევა; **მეორე**, დანაშაულის ნიშნები გადმოცემულია მათი დადგენის ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით. კერძოდ, თავდაპირველად უნდა დადგინდეს ქმედების შემადგენლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოძიება ვერ დაიწყება. **მეორე ელემენტის სახით უნდა დადგინდეს ქმედების მართლწინააღმდეგობა, ხოლო მესამე ელემენტად – ბრალი.** აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა დასკვნა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, არამედ **სუბიექტის ბრალი.** მართლაც, ქმედების შემადგენლობა

მართლსაწინააღმდეგოდ შეიძლება შეურაცხადმაც განახორციელოს, ხოლო შეურაცხადი ბრალეულად ვერ იმოქმედებს. დანაშაული კი ბრალის გარეშე არ არსებობს. ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დგება, როცა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში სუბიექტის ბრალს სასამართლო ადგენს და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ადასტურებს.

ჩვენი აზრით, დანაშაული ნეგატიური პასუხისმგებლობის ობიექტია. დანაშაულის ჩამდენი პირი ნეგატიური წესით პასუხს აგებს დანაშაულისათვის, ისევე, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის ობიექტია მართლზომიერი ქმედება. მაგრამ ერთია დანაშაული, როგორც ნეგატიური პასუხისმგებლობის ობიექტი, და მეორეა პასუხისმგებლობის საფუძველი. საქმე ის გახლავთ, რომ ტერმინი „საფუძველი“ ტერმინ „შედეგს“ უკავშირდება. საფუძველ-შედეგის კავშირი ლოგიკის ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც, ამ შემთხვევაში, ნათელყოფს პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემას. აქ აუცილებელია პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, როცა ადამიანი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება პასუხისმგებლობით, ესე იგი, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. აქ აუცილებელია თავისუფლების იდეაც, რადგან თავისუფალი არჩევანის გარეშე სუბიექტი თავის მოვალეობას პასუხისმგებლობით, ანუ მისი აღსრულების შინაგანი მზაობით, ვერ მოეკიდება. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ თავისუფლების გარეშე სუბიექტი თავის მოვალეობას ვერც უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად ვერ მოეკიდება. მაშასადამე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ პასუხისმგებლობა, მისი პოზიტიური ასპექტით, არის აუცილებლობისა და თავისუფლების კავშირის ფორმა. ეს ბუნებრივია, რადგან თავისუფლება აუცილებლობაში პირდაპირი ლოგიკური გზით არ გადადის. მეორე მხრივ, თავისუფლება თვითნებობა კი არაა, არამედ ზღვარდებულია პასუხისმგებლობით. ამიტომაც ვამბობთ, რომ **პასუხისმგებლობა თავისუფლებისა და აუცილებლობის კავშირის ფორმაა.** აქედან გამომდინარე, თუ არსებობს „პასუხისმგებლობა“, ამ

ტერმინის პოზიტიური გაგებით, მაშინ არსებობს მისი საპირისპირო ტერმინიც, ე.ი. „უპასუხისმგებლობაც“, რომელიც პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფა ან უგულებელყოფაა და ამდენად, „ბრალის“ სინონიმია, რის გამოც იგი ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თუ პოზიტიური პასუხისმგებლობა ნიშნავს მართლზომიერი ქმედების ვალდებულების აღსრულებას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისას, პირიქით, სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად, ე.ი. არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და მაშასადამე, მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ.

ამრიგად, პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი მისი საპირისპირო „უპასუხისმგებლობის“, როგორც ბრალის სინონიმის, საფუძველია, ხოლო ბრალი, თავის მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია. თუ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება დადებით შეფასებას იმსახურებს, ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, პირიქით, – სუბიექტის უარყოფით შეფასებას, მის გაკიცხვას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრალი, როგორც გარკვეული ინსტანციის (სისხლის სამართლის სფეროში სახელმწიფოს) წინაშე სუბიექტის უპასუხისმგებლობის გამოხატულება, ბრალის ფორმების ვლინდება, მაშინ უფრო ნათელი ჩანს ბრალის ხარისხის ცნებაც. მაგალითად, განზრახვა, როგორც წესი, ბრალის უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე – გაუფრთხილებლობა. უფრო მარტივი იქნებოდა დებულება, რომლის თანახმად, ბრალი არის არა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება (ბრალის ფსიქოლოგიური თეორია), ან ამ ფსიქიკური დამოკიდებულებისაგან პირწმინდად მოწყვეტილი წმინდა შეფასება, როგორც აბსრაქტული გაკიცხვა თუ გასაკიცხაობა (ბრალის ნორმატივისტული თეორია, მაგალითად, – ფინალიზმში), არამედ ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმ-

გებლო დამოკიდებულება, რომელიც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით გამოიხატება. ამ პოზიციიდან „განზრახვა“ ნიშნავს სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებულ უარყოფას (პირდაპირი განზრახვა) ან ამ პასუხისმგებლობის მიჩქმალვას, რაც შეგნებულად დაშვებული მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი სუბიექტის გულრილ დამოკიდებულებას გამოხატავს (ევენტუალური, იგივე არაპირდაპირი, განზრახვა).

შესაბამისად, გაუფრთხილებლობა ნიშნავს სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის უგულვებელყოფას, როცა სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას (სისხლის სამართლის ან წინდახედულობის ნორმის მოთხოვნას) ეკიდება ქარაფშუტულად და ამის გამო არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას (თვითიმედოვნება) ან დაუდევრად, როცა სუბიექტი სისხლის სამართლის ან წინდახედულობის ნორმის მოთხოვნასადმი იმდენად უპასუხისმგებლოა, რომ იგი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობასაც კი არ ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

1. დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტია, რადგან სუბიექტი ნეგატიური წესით პასუხს აგებს დანაშაულისათვის.

2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, არამედ სუბიექტის ბრალი, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი მისი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, გამოსატული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ეს დასტურდება იმ ლოგიკური თანმიმდევრობით, როგორც მათი დადგენის მიხედვით გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში. კერძოდ, თავდაპირველად უნდა დადგინდეს ქმედების შემადგენლობა, შემდეგ – ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა, ხოლო ბოლოს – სუბიექტის ბრალი, რომლის იფიციალური წესით დადგე-

ნის შემდეგ წყდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ბრალის ფორმების მიხედვით სასჯელის დანიშვნის პრობლემები.

3. ვფიქრობთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის დებულება – „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული“, კოდექსიდან ამოსალბია და მის ნაცვლად, უნდა აღინიშნოს – „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია სუბიექტის ბრალი“. ამ დებულებისათვის კანონის ფორმის მისაცემად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი, რომელშიც პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა ნორმატიულად იქნებოდა გადაწყვეტილი. კერძოდ, „პოზიტიური პასუხისმგებლობის საფუძველია თავისუფლება, ხოლო, ნეგატიურისა – ბრალი, როგორც ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით გამოიხატება“.

აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს სასამართლო-საგამომიებო პრაქტიკისათვის მეტად არსებითი დასკვნა, რომელიც, თავისი არსით ფუნდამენტურია:

ა) კერძოდ, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, არამედ სუბიექტის ბრალი, მაშინ გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის ტრადიციული ფორმულა – „ბრალდებული ცნობილ იქნეს დამნაშავედ“, უნდა შეიცვალოს ფორმულით: „ბრალდებული ცნობილ იქნეს ბრალეულად“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებაში, რაკი ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია და მასასადამე, ბრალდებულმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა;

ბ) უნდა შეიცვალოს გამამართლებელი განაჩენის ტრადიციული ფორმულაც: „ბრალდებული ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გა-

მართლდეს“, შემდეგი ფორმულით: „ბრალდებული ცნობილ იქნეს არაბრალეულად იმ ბრალდებაში, რომელიც მას გამოძიებამ წარუდგინა. მაშასადამე, ბრალდებულს მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია და გამართლდეს“.

გ) რაკი გამოძიების ეტაპზე ბრალდებული ჯერ კიდევ არაბრალეულად ივარაუდება, სასამართლომ ეს ვარაუდი ბრალდებულის ბრალის კატეგორიული წესით დადგენის გზით უნდა გააბათილოს ან ბრალდებული გამართლოს;

დ) რაკი გამოძიება ბრალდებულს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მისი ბრალის სავარაუდო ხასიათიდან ედავება, მაშასადამე, ამ პოზიციიდან სავსებით საკმარისია, თუ სასამართლო ბრალდებულის სავარაუდო ბრალს ნეგატიური წესით გააბათილებს და მაშასადამე, ნეგატიურადვე დაამტკიცებს, რომ ბრალდებულს მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია.

ამრიგად, იურიდიული აზროვნების წესი, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირადაა შეცვლილი სოციოლოგისტური აზროვნების წესით, ამ მხრივ, ძირშივე ამახინჯებს, როგორც იურიდიული მეცნიერების, ისე სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის წინაშე მდგარ ამოცანებს და ამიტომაც შემდგომ გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

III

შეიძლება თუ არა სისხლის სამართალი და სასჯელალსრულების სამართალი ადამიანის პიროვნებაში პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეის გარეშე?

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სისხლის სამართლის საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტიდან ამოღებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჯვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელალსრულების კანონმდებლობით“.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში სასჯელის მიზანია განმარტებული: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის (უნდა ეწეროს: „მსჯავრდებულის“) რესოციალიზაცია.

გამოვხატავთ რა ამ საბჭოს წევრებისადმი ღრმა პატივისცემას, ჩვენ არ შეგვიძლია შეველიოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის მთავარ იდეას, კერძოდ, ე.წ. **პოზიტიურ პასუხისმგებლობას**, რომლის თანახმად, არსებობს პასუხისმგებლობის არა მხოლოდ ნეგატიური ასპექტი (მაგალითად, პასუხისმგებლობა უკვე ჩადენილი დანაშაულისათვის), არამედ მისი პოზიტიური ასპექტიც, რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი ნორმატიულად დადგენილ ვალეულებას ეკიდება პასუხისმგებლობით, ე.ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. უფრო მეტიც, ფილოსოფიური თვალსაზრისით, წამყვანი სწორედ პოზიტიური პა-

სუხისმგებლობის იდეაა, რადგან, ამ შემთხვევაში, წინა პლანზეა წამოწეული პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც უცხოა ცხოველისათვის, მაგრამ არსისეულია ადამიანის პიროვნებისათვის. ამიტომ იყო, რომ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ქართველმა წარმომადგენლებმა (ანგია ბოჭორიშვილმა, ზურაბ კაკაბაძემ, თამაზ ბუაჩიძემ, ოთარ ტაბიძემ, ანზორ ბრეგაძემ და სხვ.), აგრეთვე, ქართველმა ეთიკოსებმა (პროფ. გელა ბანძელაძე) ადამიანის არსების ერთ-ერთ ნიშნად პასუხისმგებლობის გრძნობა წარმოაჩინეს.

ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიურია, ე.ი. ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით გამოიხატება, როცა სუბიექტი ამ ვალდებულებას მისი აღსრულების შინაგანი მზობით, ანუ ყოველვარი შინაგანი კონფლიქტისა და იძულების გარეშე, ეკიდება. ამგვარად, ამ პოზიციიდან ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო (ბრალეული) დამოკიდებულება გამორიცხულია. ეს უკვე ადამიანის ღირსების საქმეა, რომლის გარეშე მაღალზნობრივ ქმედებათა დასაბუთება შეუძლებელია. ცხადია, პასუხისმგებლობა თავისუფლებას ემყარება, მაგრამ თავისუფლება თვითნებობაში რომ არ გადაიზარდოს, იგი ზღვარდებულია სწორედ პოზიტიური პასუხისმგებლობით, როცა სუბიექტი თავისუფლებას ბოროტად კი არ იყენებს, არამედ ნორმატიულად დადგენილ მოვალეობას ეკიდება პასუხისმგებლობით. ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების გამოა, რომ ბოროტება, დანაშაული, თავისუფლების გამოვლენა კი არაა, არამედ, პირიქით, ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებაა (განსაკუთრებით განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, შემთხვევაში) სუბიექტის უპასუხისმგებლობის, ანუ ბრალის, განსაკუთრებული მაღალი ხარისხის ნიშანია, ხოლო ამ პოზიციიდან უკვე ღება ბოროტებისა თუ დანაშაულის დასჯის პრობლემა, რომელიც უკვე ნეგატიური პასუხისმგებლობის პრობლემატიკაში გადადის. ნეგატიური პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, დანაშაულისათ-

ვის სამაგიეროს მიზღვა კი არაა, არამედ მიზნად ისახავს სუბიექტის აღდგენას პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში, როცა იგი ნორმატიულად დადგენილ ვალდებულებას პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მაშასადამე, პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტი ერთიანია.

ამრიგად, სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, მართებული გაგებისათვის წამყვანი სწორედ ადამიანისა და მისი პასუხისმგებლობის პრობლემაა. მოკლედ რომ ვთქვათ, დანაშაული მისი ჩამდენი პირის უპასუხისმგებლობაა სახელმწიფოს წინაშე, ხოლო სასჯელმა, მსჯავრდებულზე ზემოქმედების შედეგად, ეს უპასუხისმგებლობა მასში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძებით უნდა გააბათილოს, რათა იგი ამიერიდან მოქმედებდეს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით (იხ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან ლოგიკურია, დავასაბუთოთ დანაშაულისა და სასჯელის შინაგანი ერთიანობის იდეაც, რომლის ანთროპოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანი, როგორც თავისი ქმედებისათვის პასუხისმგებელი არსება.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ამოღება სისხლის სამართალს, როგორც სამართლის დარგს, აგდებს უკიდურესი დოგმატიკის ტყვეობაში, როცა ამ დოგმატიკამ არ იცის (მას არც აინტერესებს) ადამიანი და მისი პოზიტიური პასუხისმგებლობა, მაშასადამე, არც უპასუხისმგებლობის, ანუ ბრალის ფენომენი და არც სასჯელი, როგორც ამ უპასუხისმგებლობის – ბრალის, დაძლევის საშუალება.

უფრო მეტიც, ეს დოგმატიკა „კარგად იტანს“ პასუხისმგებლობისაგან განძარცულ ადამიანსაც კი და ამ მხრივ, მას არაფერი დააკლდება, თუ ვიტყვით, რომ პასუხისმგებლობის გრძნობისაგან განძარცული ადამიანი არცაა ადამიანი! ამგვარი დოგმატიკა არავითარ კავშირშია არც დანაშაულის ჩადენის მექანიზმთან და არც

სასჯელის აღსრულების პრაქტიკასთან; სასჯელის აღსრულების დაწესებულების მუშაკებს ვერაფერს ეტყვის იმის თაობაზე, იმუშაონ თუ არა მათ მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვივების ხერხებსა თუ მეთოდებზე! გამოდის, რომ სისხლის სამართალი არავითარ კავშირში არაა არა მარტო სასჯელაღსრულებით სამართალთან, არამედ ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემასთანაც.

ერთი სიტყვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის ამოღების ნეგატიურ შედეგებზე კიდევ ბევრს ვიტყოდით, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ამოღებას თავისი საბაბი ჰქონდა და ამჯერად სწორედ ამ საკითზე შევჩერდებით. კერძოდ, აშკარაა, რომ ხსენებული მუხლის მეორე ნაწილში კანონმდებელმა „მსჯავრდებული“ და „სხვა პირი“ ერთმანეთთან გაათანაბრა, რადგან ამ „სხვა პირში“ სასჯელის ზოგადპრევენციული ფუნქცია იგულისხმება. კანონმდებელმა აქ, როგორც იტყვიან, ერთი გასროლით თითქოს ორ კურდღელს მოარტყა! მაგრამ ამ ორი, სრულად განსხვავებული სუბიექტის გათანაბრებამ ის გამოიწვია, რომ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა განიმსჯვალოს არა მარტო მსჯავრდებული, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, არამედ „სხვა პირიც“, ე.ი. მთელი საზოგადოება! გასაგებია, რომ აქ სასჯელს არა მარტო მსჯავრდებულის, არამედ მთელი საზოგადოების „მორალური გამოსწორების“ პრეტენზია აქვს! ბუნებრივია, ამ პოზიციიდან სასჯელის ნამდვილი დანიშნულების პრობლემა შეიძლება დადგეს და ამდენად, ვფიქრობთ, გამოსავალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის ამოღებაში არ მდგომარეობს (აქ, როგორც იტყვიან, საბაბი მიზეზად იქცა! გამორიცხული არაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სისხლის სამართლის საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს რომელიღაც წევრმა ეს საბაბი მიზეზად გამოიყენა და ხსენებული ნორმის ამოღება მოითხოვა!).

სამწუხაროდ, ქართველ კანონმდებელს, საქართველოს სისხლის სამართლის ამჟამად მოქმედი კოდექსის შემუშავების დროისათვის, როგორც ჩანს, არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა. ამის გამო მას უყურადღებოდ დარჩა სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი, როგორც „სისხლის სამართლის სუბიექტი“, რომელიც სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ვალდებულია, მოქმედებდეს მართლზომიერად, ხოლო, როგორც პიროვნება, მოწოდებულია, ამ ვალდებულებას მოეცილოს პასუხისმგებლობით, ესე იგი, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 ნაწილში გამოთქმული დებულება: „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“, დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეას გამოხატავს. სამწუხაროდ, ეს დებულება სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის ზოგადპრევენციული ფუნქციის გამოვლენად იქნა მიჩნეული და დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა დღემდე უგულებელყოფილია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქ წამყვანი სწორედაც აღნიშნული იდეაა. მართლაც, თუ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ ეს ვალდებულება უფრო მეტია, ვიდრე სასჯელის ე.წ. პრევენციული ფუნქცია. რაკი არსებობს სისხლის სამართლის სუბიექტი, რომელიც ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად, აქ სასჯელის ზოგადპრევენციული ფუნქცია, ასე ვთქვათ, მოხსნილი სახით იგულისხმება და ცალკე არ გამოიყოფა. ამ პოზიციიდან ცხადია, რომ სასჯელისა და მისი მიზნების დადგენისას კანონმდებელს სასჯელის ზოგადპრევენციული ზემოქმედების მისანიშნებლად „სხვა პირი“ აღარ სჭირდება, რაკი ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია იმ მომენტიდან, როცა სისხლის სამართლის

კანონი ძალაში შევიდა და სისხლის სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება დაეკისრა. ვიმეორებთ: ეს ვალდებულება უფრო მეტია, ვიდრე სასჯელის ზოგაპრევენციული ფუნქცია, რომელიც ამ ვალდებულებაში მოხსნილი სახით იგულისხმება და ამიტომ ცალკე არ გამოიყოფა.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში „სხვა პირი“, როგორც სასჯელის ზოგაპრევენციულ მოქმედებაზე მინიშნება, ამოსადებია. გარდა ამისა, 39-ე მუხლის მეორე ნიწილიდან ისე ჩანს, თითქოს სასჯელის ზემოქმედება მსჯავრდებულს პირველად მსჭვალავს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. სინამდვილეში, როგორც უკვე ითქვა, სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი, ე.ი. სისხლის სამართლის სუბიექტი, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად და როგორც პიროვნება, მოწოდებულია მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლობით, ანუ ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. აქედან გამომდინარე, 39-ე მუხლის მეორე ნაწილში იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასჯელი მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის გრძნობით პირველად მსჭვალავს. ცხადია, ეს იმის შედეგია, რომ კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებისას დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეას არ იცნობდა და მან ამიტომაც არ იცოდა, რომ მსჯავრდებული, ამ კონკრეტული ქმედების ჩადენასთან მიმართებით, სისხლის სამართლის ნორმის ყოფილი ადრესატია, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა უცნობი სულაც არ ყოფილა. სხვანაირად იგი სისხლის სამართლის სუბიექტი ვერ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, რაკი მან ჩაიდინა დანაშაული, როგორც სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლო აქტი, ბუნებრივია, თუ სასჯელი მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობას ხელმეორედ კი არ შექმნის, არამედ გამოაღვიძებს, ხოლო, არასრულწლოვანი

მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის ნაწილობრივ აღზრდის მიზანსაც დაისახავს.

ამრიგად, აშკარაა, რომ სასჯელის ზემოქმედებამ დანაშაულში გამოხატული ეს უპასუხისმგებლობა მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვივებით გააბათილოს, ხოლო, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის ნაწილობრივ ზრდასაც შეუწყოს ხელი. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მსჯავრდებულის ახალ პირობებში დაუბრუნდეს თავის თავს, როცა იგი, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდებოდა პასუხისმგებლობით. ეს უკვე სასჯელის იმ ერთ-ერთი მიზნის აღსრულებაა, რომელსაც მსჯავრდებულის **რესოციალიზაცია** ეწოდება.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „**სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულზე ზემოქმედებით, რათა მასში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვივებით, ნაწილობრივ აღზრდითაც, იგი ახალ პირობებში მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ამიერიდან ეკიდებოდეს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელაღსრულების კანონმდებლობით**“.

ამრიგად, აშკარაა, რომ სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი, ადამიანისა და მისი პასუხისმგებლობის ფილოსოფიური პრობლემისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. სხვანაირად დანაშაულის თავიდან აცილების დასაბუთება ვერ მოხდება. ადამიანის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე სისხლის სამართალს აზრი არა აქვს! მაგალითისთვის, ცნობილია, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა ბოლომდე განვითარებული, როგორც წესი, სრულწლოვან პიროვნებაშია. მაშასადამე, არასრულწლოვანი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას სრული პასუხისმგებლო-

ბის გრძნობით ვერ მოეკიდება, ხოლო, ეს, თავის მხრივ, ბრალის ნაკლები ხარისხის ნიშანია. ლოგიკურად, არასრულწლოვანი უფრო მსუბუქად უნდა დისაჯოს, ვიდრე სრულწლოვანი. ბუნებრივია, თუ სასჯელმა მიზნად არასრულწლოვნის პიროვნებაში პასუხისმგებლობის ნაწილობრივ აღზრდაც დაისახოს, მაშინ, როცა ამ მიზანს სრულწლოვანი პირის მიმართ აზრი არა აქვს.

გარდა ამისა, უკვე ითქვა, რომ ამ პოზიციიდან დანაშაული მისი ჩამდენი პირის უპასუხისმგებლობაა სახელმწიფოს წინაშე, ხოლო სასჯელმა მსჯავრდებულის ეს უპასუხისმგებლობა მსჯავრდებულის პიროვნებაში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენით უნდა გააბათილოს. **ეს, თავის მხრივ, დანაშაულისა და სასჯელის შინაგანი ერთიანობის იდეაზე მეტყველებს, ხოლო ამ ერთიანობის ანთროპოლოგიურ საფუძველს ადამიანის პიროვნება, როგორც თავისი ქმედებისთვის პასუხისმგებელი არსება, წარმოადგენს.**

იმედია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილი უკეთესი ფორმითა და შინაარსით აღგება, რადგან ეს უაღრესად საჭიროა როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად და მეთოდოლოგიურად.